შ.პ.ს. “ საინჟინრო ჯგუფი ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “საინჟინრო ჯგუფი”-ის

დირექტორი ბ. მათითაიშვილი



საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ლადო ასათიანის №22-ში მდებარე ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობისა და მომიჯნავე შენობებზე სადემონტაჟო სამუშაოების შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

თბილისი 2018 წ

სადემონტაჟო შენობა მდებარეობს ქ. თბილისში ლადო ასათიანის ქ. № 22 ში შენობა წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს, მასზე მიშენებული სათავსოებით.

ობიექტი აშენებულია მე 19 საუკუნის ბოლოს. შენობის ძირითადი ნაწილი განთავსებულია დახრილ რელიეფზე, ასათიანის ქუჩის მხრიდან შენობა სამსართულიანია, საძირკველი ლენტური ტიპისაა, ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს აგურის გრძივი და განივი კედლებითა და "ბაგდადჯის" ტიხრებით. სართულშუა გადახურვები ძირითადად ხის კონსტრუქციისაა, ხის კონსტრუქციისაა შენობის ქანობიანი სახურავი რომელიც დახურულია თუნუქის ფურცლებით. შენობა ხანდაზმული და ამორტიზებულია. კედლებზე შეიმჩნევა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბზარები იატაკი დეფორმირებულია, საჭიროა შენობის დემონტაჟი.

შპს “თბილისი ჯგუფის” მიერ (დირექტორი ირაკლი ჭეიშვილი, პროექტის ავტორი დავით ნაკაშიძე) დამუშავებულია ზემოთაღნიშნული ობიექტის დემონტაჟის პროექტი. პროექტის მიხედვით, სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების, ასევე დასანგრევი შენობის გარშემო დროებითი ღობის მოწყობის შემდეგ.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

შენობის დანგრევის წინ, საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით საჭიროა წყალსადენის, ჯანალიზაციის, გაზსადენის, ელექტროქსელის და სხვათა ჩახსნა რაიონის საინჟინრო კომუნიკაციების სამსახურებთან სათანადო აქტების გაფორმებით.

მომიჯნავე შენობებთან სადემონტაჟო შენობის კედლები, გადახურვები და სხვა მზიდი კონსტრუქციები უნდა დაიშალოს ხელით, ისე რომ არ მოხდეს ვიბრაციული დატვირთვების გადაცემა მომიჯნავე შენობებზე.

პროექტის მიხრდვით დემონტაჟი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- შენობების შიგთავსის გამოთავისუფლება შიდა საკომუნიკაციო ქსელებისგან,
- კარფანჯრების მოხსნა, მათი ეზოში შეგროვება, თვითმცლელზე

დატვირთვა და ნაგვის გატანა.

- სახურავის დაშლა
- ჭერის გადახურვის, ხის ჯოჭების მოხსნა, და III სართულზე არსებული ტიხრებისა და ჯედლების დაშლა სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით. ტიხრებისა და ჯედლების დაშლა განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს და მოითხოვს თვითჩამოშლის ღონისძიებების დაცვასთან ერთად მომუშავეთა უსაფრთხოების დაცვასაც.
- სართულშუა გადახურვის და ჯედლების ზედა იარუსების მოსახსნელად ხდება მაგიდისებური სადგამების მომარაგება და გამოყენება. ჯედლებთან ერთად იხსნება აგრეთვე ფანჯრებისა და ჯარის ზღუდარები. მათი დაშლისთანავე ხდება ავტოთვითმცლელის ძარებში ჩაყრა ნაგვის იმავდროული ტრანსპორტირების მიზნით.
- ქვედა სართულებზე დაშლის სამუშაოების დაწყება დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დასრულდება ზედა სართულის მთლიანად დაშლა.
- დემონტაჟის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძირკვლების დემონტაჟს მომიჯნავე შენობასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ საძირკვლების სადემონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ხელით, პნევმოჩაქუჩისა და ქვის საჭრელი აპარატების გამოყენებით. რომ არ დაზიანდეს მომიჯნავე შენობის საძირკვლები.
- დანგრევის სამუშაოთა შესრულების პერიოდში აუცილებელია შრომის, ელექტრო, ხანძარსაფრთხოებისა და ბუნების დაცვის ღონისძიებების გატარება.

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე", საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების მიხედვით –"ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ" და სხვა ნორმატულ საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

- კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა.

დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

სადემონტაჟო სამუშაოების უბნის შემოღობვისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მომიჯნავე შენობებისათვის საჭიროების შემთხვევაში, დაბრკოლება არ შეექმნას სასწრაფო და სახანძრო მანქნების მოძრაობას.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის №22-ში მდებარე ნაგებობის, წარმოდგენილი დემონტაჟის პროექტის შესაბამისად დაშლის შემთხვევაში, დემონტაჟი, უარყოფითად არ იმოქმედებს მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობზე.

ექსპერტი, ინჟინერ -კონტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru